

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საელმწიფო შესყიდვების მუდმივმოქმედი
სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი #1

დ. ჩხოროწყუ

14 მარტი, 2019 წელი

სხდომას უძღვებოდა სატენდერო კომისიის თავმჯდომარე-გოჩა ჩიქოვანი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ზაზა ხორავა-თავმჯდომარის მოადგილე- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ედუარდ მალანია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

თეიმურაზ მალანია-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

დ დ ის წ ე ს რ ი გ ი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოღაში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდ-ბოგირის მოწყობითი სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შესახებ.

(მომხსენებელი გოჩა ჩიქოვანი-კომისიის თავმჯდომარე).

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა ერთხმად.

მომხსენებელმა სხდომას გააცნო საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის #215 განკარგულებით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოღაში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდ-ბოგირის მოწყობითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შესახებ.

კომისიამ დაადგინა რომ, ზემოთაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე) 10455 ლარზე დღგ-ს გათვალისწინებით და დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის ასატვირთი დოკუმენტაცია.

ამით კომისიის სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე:  /გ. ჩიქოვანი/

მოადგილე  /ზ. ხორავა/

წევრები:  /ე. მალანია/

 /თ. მალანია/